კლიმატური განგაში - მოქმედების დროა

სადისკუსიო ბარათები

მაია ბლიაძე

ამოჭერით ქვემოთ მოცემული სადისკუსიო ბარათები და გეოგრაფიის გაკვეთილზე ჩაატარეთ დისკუსია თემაზე „კლიმატური განგაში - მოქმედების დროა“.

ბარათი N1

საშუალო გლობალური ტემპერატურა დედამიწაზე ბოლო 100 წლის განმავლობაში 1°C-ით გაიზარდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თუ ჩვენს პლანეტაზე დათბობა გაგრძელდება, ამას დამანგრეველი შედეგები მოჰყვება ადამიანებისთვის და ბუნებისთვის.

სადისკუსიო თემა:

თქვენი აზრით, როგორი იქნება სამყარო 100 წლის შემდეგ, თუ გლობალური კლიმატცვლილება გაგრძელდება და არაფერი შეიცვლება?

ბარათი N2

საქართველოში ბევრი ადგილია, სადაც ხშირად ქრის ქარი. ჩვენ შეგვიძლია, გამოვიყენოთ ეს ქარი, როგორც განახლებადი ენერგიის წყარო ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის და ათასობით სახლს მივაწოდოთ.

სადისკუსიო თემა:

იმსჯელეთ, რას ნიშნავს განახლებადი ენერგია და რატომ უნდა გამოვიყენოთ განახლებადი ენერგია წიაღისეული საწვავის ნაცვლად?

ბარათი N3

დიდი ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რათა გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტის ბუნება და ხელი შევუწყოთ კლიმატის ცვლილების შერბილებას.

სადისკუსიო თემა:

იმსჯელეთ, რის გაკეთება შეუძლია თქვენს სკოლას, ოჯახს, თემს და თითოეულ თქვენგანს, რათა დაეხმაროთ კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესს?

ბარათი N4

მსოფლიოში კაკაოს მარცვლების უმეტესობა დასავლეთ აფრიკაში მოჰყავთ, მაგრამ, კლიმატის ცვლილების გამო, ამ რეგიონში მშრალი სეზონი გახანგრძლივდა, ხოლო ნალექების რაოდენობა შემცირდა.

სადისკუსიო თემა:

როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს კლიმატის ცვლილება დასავლეთ აფრიკაში კაკაოს მომყვან ფერმერების საქმიანობაზე? როგორ აისახება კლიმატის ცვლილება საკვების იმ სახეობებზე, რომლებიც საქართველოში მოყავთ?

ბარათი N5

ყოველ ორ წამში დედამიწაზე ფეხბურთის მოედნის ფართობის ტოლი ტროპიკული ტყეები იჩეხება, რაც ხელს უწყობს ცხოველთა ჰაბიტატის განადგურებას და კლიმატის ცვლილებას.



სადისკუსიო თემა:

რატომ არის ტყეები მნიშვნელოვანი რესურსი კლიმატის ცვლილების შერბილების საქმეში?
რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევაჩეროთ ჩვენი ტყეების გაჩეხა?

ზარათი N6

ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოებისთვის რქოსანი ცხოველების მოშენება ვრცელ ტერიტორიებს და დიდი რაოდენობით წყალს საჭიროებს. ამავე დროს, ეს პროცესი დიდი რაოდენობით სათბურის აირებს წარმოქმნის. მეცნიერები გვირჩევენ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო რამ, რაც ჩვენი პლანეტის გადასარჩენად შეგვიძლია გავაკეთოთ, ვეცადოთ, ნაკლები ხორცი და რძის პროდუქტები მოვიხმაროთ და უფრო მეტი ბოსტნეული, ხილი და მარცვლეული მივირთვათ.

სადისკუსიო თემა:

თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

როგორ შეიძლება შეამციროთ ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარება თქვენს ოჯახში, სკოლის სასადილოში?

ბარათი N7

კლიმატის ცვლილების გამო კატასტროფული სისწრაფით დნება ჩვენი პლანეტის პოლარული ყინულის „ქუდები“ და აისბერგები. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თუ ასე გაგრძელდა 2040 წელს არქტიკაში შეიძლება ზაფხულში ყინული საერთოდ აღარ იყოს.

სადისკუსიო თემა:

როგორ მოქმედებს კლიმატის ცვლილება პოლარული რეგიონების ბინადრებზე - პოლარულ დათვებზე, პინგვინებსა და ლომვეშაპებზე?

რა გავლენას მოახდენს ყინულის „ქუდებისა“ და აისბერგების დნობა ჩვენი პლანეტის სხვა რაიონებზე?

ბარათი N8

ჩვენ უკვე თვალნათლივ ვხედავთ კლიმატის ცვლილების ცალკეულ შედეგს. უკვე გვაქვს 2001 წლიდან დედამიწის 16 ყველაზე ცხელი წლის მონაცემები. ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში თითქმის ყოველ დღე განვიცდით ამინდის ისეთი ექსტრემალური მოვლენების გავლენას, როგორიცაა წყალდიდობა, მეწყერები, თბური ტალღები, შტორმები, ქარიშხლები, ტყის ხანძრები და გვალვები.

სადისკუსიო თემა:

როგორ ვლინდება და რა გავლენას ახდენს ამინდის ექსტრემალური მოვლენები ადამიანებზე საქართველოსა და მთელ მსოფლიოში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამინდის ექსტრემალურმა მოვლენებმა დედამიწის ველურ ბუნებაზე?